

ვნებითი გვარის ათვისება ქართულენოვან ბავშვებში

ნათია კორძაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების
თერაპიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თეონა დამენია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნათია კორძაძე

თარიღი: 20 ივნისი, 2024 წელი

აბსტრაქტი

წარმოდგენილი ნაშრომი ფსიქოლინგვისტიკის სფეროს განეკუთვნება და აანალიზებს, თუ როგორ ხდება ვნებითი გვარის ათვისება ქართულენოვან ბავშვებში. ნაშრომში გამახვილებულია ყურადღება ქართულის ვნებითი გვარის გენეზისსა და განვითარების თავისებურებებზე, ფორმასა და ფუნქციაზე არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით, შესაბამისად, ის მოიცავს შემდეგ საკვლევ საკითხებს:

1. ვნებითი გვარის გააზრება წინ უსწრებს პროდუცირებას- ქართული ვნებითის ათვისების პროცესის ანალიზის საფუძველზე ამ მიგნების შემოწმება;
2. ვნებითი გვარის ათვისებისა და განვითარების თავისებურებანი;
3. ვნებითის რეპრეზენტაციასა და პროდუცირებასთან დაკავშირებული შეცდომების კვლევა.

სამაგისტრო თემის მეთოდოლოგია წარმოადგენს შერეული ტიპის ექსპერიმენტს, რომლის იდეა წარმოიშვა ბალდის ექსპერიმენტის (1976) გავლენით.

ექსპერიმენტში მონაწილეობა მიიღო 40-მა ბავშვმა, რომლებიც გადანაწილდნენ 3 ასაკობრივ ჯგუფად:

ჯგუფი 1- 24-26 თვე, 2 – 29-31 თვე, ჯგუფი 3- 36- 38 თვე. შეირჩა 16 ვიდეო, ექსპრესული ვნებითისა და 36 სურათი რეცეპტული ვნებითის საკვლევად. პროცედურის ჩატარება დაევაღათ საბავშვო ბაღების მასწავლებლებს, მათ ინდივიდუალურად იმუშავეს თითოეულ აღსაზრდელთან. კვლევითი პროცედურები წარმოებდა 3 თვის განმავლობაში.

მიღებული მონაცემები გაანალიზდა როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი მეთოდით. რამაც გვიჩვენა, რომ ასაკის მატებასთან ერთად იზრდება როგორც რეცეპტული ისე ექსპრესული ვნებითის კომპეტენცია, კერძოდ, ვნებითის ათვისების განვითარება ხასიათდება ფონოლოგიური შეცდომების შემცირებით, სემანტიკური

დისტრიბუციის გამოყენებით და ლექსიკური მარაგის ზრდის გამო გამოყენების სიხშირის მატებით. ასევე, რიცხვში მონაცვლე ვნებითი გვარის ზმნების გაცნობიერებით.

შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ პირველ ასაკობრივ კატეგორიაში მყოფ ბავშვებს ვნებითი გვარი უკვე გაცნობიერებული აქვთ და თითოეული ასაკობრივი ჯგუფის რეცეპტული ვნებითის მაჩვენებელი წინ უსწრებს მომდევნო უფროსი ასაკის ექსპრესულ მაჩვენებელს მომდევნო ასაკობრივ ჯგუფებში. სხვა მონაცემების მიხედვით მოხდა მხოლოდ მე-2 და მე-3 ასაკობრივი ჯგუფების შედარება (ინფორმანტთა საკმარისი რაოდენობის გამო),

ტიპოლოგიური შედარების შედეგად ასევე ირკვევა, რომ როგორც თურქი, ისე ქართველი ბავშვები ადრეულ ასაკში იწყებენ პასივის მარკერების გამოყენებას, რაც აგლუტინაციური ენების მახასიათებლად შეიძლება ჩაითვალოს და ამ მხრივ პროდუქტიულები 3 წლის ასაკიდან ხდებიან.

Abstract

The presented master thesis topic belongs to the field of psycholinguistics. The study aims at investigating the development and forming of passive acquisition in Georgian-speaking children. Based on the existing scientific literature, the topic focuses on the genesis and features of the Georgian passive voice development, on its form and function, therefore the work includes the following research questions:

1. Do understanding of passive voice precedes production? - verification of these conclusions are to be based on an analysis of the process of mastering Georgian passive voice;
2. Features of the acquisition and development of passive voice;
3. Study of errors associated with the representation and production of passive voice.

The methodology of the master theses topic is a mixed-type experiment, the idea of which arose under the influence of Baldi's experiment (1976).

40 children took part in the experiment; 3 age groups were created:

Group 1 - 24-26 months, Group 2 - 29-31 months, Group 3 - 36-38 months. For the experiment, 16 videos were selected to study the expression of passive voice and 36 images to study the receptive passive voice. Child care teachers were entrusted with carrying out the procedure; they worked individually with each child. The study procedures were carried out over a period of 3 months.

The data obtained were analyzed both quantitatively and qualitatively. According to the analysis of the results both receptive and expressive competence of passive voice increases with age, in particular, the development of the passive voice acquisition is characterized by a decrease in phonological errors, the use of semantic distribution and an increase in the frequency of use due

to the growth of vocabulary, as well as by the awareness of interchangeable passive verbs in number.

the findings of the current study indicate that children of the first age category are already aware of passive voice, and the quantitative indicator of receptive passive voice markers of each age group exceeds the quantitative indicator of expressive passive voice of the next older group in the following age groups.. According to other data, only the 2nd and 3rd age groups were compared (due to a sufficient number of informants),

As a result of the typological comparison, it is also clear that both Turkish and Georgian children begin to use passive markers at an early age, which can be considered a characteristic of agglutinative languages, and in this regard they become productive from the age of 3.

მადლობა, თბილისის მე-6, მე-15 და 24-ე ბაგა-ბაღებს და კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპევტს თინი ავსაჯანიშვილს კვლევის ფარგლებში ჩატარებული ექსპერიმენტის ორგანიზებაში გაწეული დახმარებისთვის.

განსაკუთრებული მადლობა კვლევის სამეცნიერო ხელმძღვანელს ქალბატონ თეონა დამენიას მუდმივად გვერდში დგომისთვის, გულისხმიერი დამოკიდებულებისთვის, სწორი რეკომენდაციებისა და მიმართულებების განსაზღვრისთვის.